



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №06

2013 წლის 23 იანვარი  
ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 15 თებერვლის №17 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება და დამატება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 15 თებერვლის №17 განკარგულებაში თანახმად დანართისა.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (რ.კარალიძე).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე. ბაგრატიონი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე  
გარე რეკლამის განთავსების გეგმა

1. ლოტი №4:

ქ. ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირზე არსებული მინის მოსაცდელი 10 ცალი  
ორმხრივი სარეკლამო ბანერები – 2,8 კვ.მ მეტრი  
სულ სარეკლამო ფართი – 28,0 კვ.მეტრი

2. ლოტი №5:

ქ. ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირზე არსებული გარე განათების ბოძები 200  
ცალი, სადაც შეიძლება განთავსდეს არა ნაკლებ 4,5 მეტრი სიმაღლეზე ორმხრივი  
სარეკლამო ბანერი  $0,75*2=1,5$  კვადრატული მეტრი  
სულ სარეკლამო ფართი –  $200*1,5=300$  კვ. მეტრი

3. ლოტი №6:

ქ. ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირზე 10 კმ-იან მონაკვეთზე გადამსტვენი  
ორმხრივი ფირნიშები ყველა 2 კმ-ზე. სულ 5 ცალი, სარეკლამო ფართი  
 $9*0,5=4,5*2=9$  კვ.მეტრი       $5*9=45$  კვ.მეტრი